



თბილისი, 06.01.2014

საქართველოს ლურჯი ფარის განცხადება

სოციალურ ქსელში გავრცელდა ოკუპირებული აფხაზეთის, გულრიფშის რაიონში მდებარე დრანდის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის ახალი ფოტო-მასალა, რომელზეც ასახულია ტაძრის ნართექსის სამხრეთ ნაწილში, სანათლავის არქეოლოგიურ ნაშთზე დაშენებული რკინა-ბეტონის ახალი სანათლავი. აღნიშნული უხეში ჩარევის შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ 2011 წელს რუსეთის იკომის (მუზეუმების საერთაშორისო საბჭო) მიერ შესრულებული ანგარიშიდან გახდა ცნობილი, თუმცა მაშინ მშენებლობა ახალი დაწყებული იყო.

ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი შეშფოთებას გამოთქვამს მე-8 საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლში თვითნებური და უხეში ჩარევის გამო და

- მიმართავს საქართველოს მთავრობას მოახდინოს რეაგირება და მის ხელთ არსებული რესურსების გამოყენებით განაახლოს ძალისხმევა საერთაშორისო ორგანიზაციების ინფორმირებისა და მათი ჩართვისათვის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მონიტორინგის საქმეში;
- მიმართავს საქართველოს საპატრიარქოს, დაუკავშირდეს რუსეთის საპატრიარქოს და სთხოვოს, აღიკვეთოს რუსეთის პატრიარქს დაქვემდებარებული მღვდელთმსახურების თვითნებური ქმედებები აფხაზეთის ეკლესია-მონასტრებში;
- მიმართავს ევროპის საბჭოს, იუნესკოს, ევროპის კავშირის განათლებისა და კულტურის გენერალურ დირექტორატს, საერთაშორისო იკომოსს, ლურჯი ფარისა და იკომის საერთაშორისო კომიტეტებს და სთხოვს მათ ხელთ არსებული სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით მოახდინონ რეაგირება აღნიშნულ ფაქტზე.



სანატლავის ნაშთი ნარტექსში, 2005 წელი



ნარტექსი, 2005 წელი



სანათლავის მშენებლობა, 2011 წელი



დასრულებული სანათლავი, 2013 წელი